

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის
ინსტიტუტი

კერძო სამართლის მომოხილვა

№6-7, 2024-2025

მთავარი რედაქტორები:

ბესარიონ ზოიძე (თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფ., თსუ)

თამარ ზარანდია (იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფ., თსუ)

მარიკა დუმბაძე (მონვეული ლექტორი, დოქტორანტი, თსუ)

სამეცნიერო საბჭო:

ლადო ჭანტურია (პროფ., თსუ)

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

ლშა ბრეგვაძე (თ. წერეთლის სახ. სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ., თსუ)

დემეტრე ეგნატაშვილი (ასისტ., თსუ)

ეკა ზარნაძე (ასოც. პროფ., საქართველოს უნივერსიტეტი, მონვეული ლექტორი, თსუ)

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., თსუ)

თამარ ზოიძე (ასოც. პროფ., თსუ)

სერგი ჯორბენაძე (ასოც. პროფ., თსუ)

თამარ ლაკერბაია (ასოც. პროფ., შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მონვეული ლექტორი, თსუ)

ლალი ლაზარაშვილი (პროფ., საქართველოს უნივერსიტეტი)

გიორგი ნამალაიძე (მონვეული ლექტორი, დოქტორანტი, თსუ)

გიორგი ამირანაშვილი (ასისტენტ-პროფესორი, თსუ)

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ ბიჭოლაშვილი
ვახტანგ ნოლაიდელი
მარიამ გურგენიძე

EDITORS IN CHIEF:

Besarion Zoidze (Director of Modern Private Law Institute, Chief Legal Researcher at Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Prof., TSU)

Tamar Zarandia (Dean of Faculty of Law, Assoc. Prof., TSU)

Marika Dumbadze (Visiting Lecturer, Ph. D. Student, TSU)

SCIENTIFIC COUNCIL:

Lado Chanturia (Prof., TSU)

Irakli Burduli (Prof., TSU)

Lasha Bregvadze (Director at Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Prof., TSU)

Demetre Egnatashvili (Assist., TSU)

Eka Zarnadze (Assoc. Prof., University of Georgia, Visiting Lecturer, TSU)

Natia Chitashvili (Assoc. Prof., TSU)

Tamar Zoidze (Assoc. Prof., TSU)

Sergi Jorbenadze (Assoc. Prof., TSU)

Tamar Lakerbaia (Assoc. Prof., International Black Sea University, Visiting Lecturer, TSU)

Lali Lazarashvili (Prof., University of Georgia)

Giorgi Tsamalaide (Visiting Lecturer, Ph. D. Student, TSU)

Giorgi Amiranashvili (Assist-Prof., TSU)

EDITORIAL COUNCIL:

Zurab Bicholashvili
Vakhtang Nogaideli
Mariam Gurgenidze

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

FACULTY OF LAW

INSTITUTE OF MODERN PRIVATE LAW

TINATIN TSERETELI INSTITUTE OF STATE AND LAW

PRIVATE LAW REVIEW

№6-7, 2024-2025

ჟურნალი გამოიცემა კომპანიების – „PLS – Professional Legal Services“ და „BDG – Business Development Group“-ის მხარდაჭერით.

The Journal has been published with the support of „PLS – Professional Legal Services“ and „BDG – Business Development Group“.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“, 2025

თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის №84

ელ-ფოსტა: meridiani777@gmail.com

Printed at “Meridiani” Publishing House, 2025

Tbilisi, Vakhushti Bagrationis st. 84

E-mail: meridiani777@gmail.com

ISSN 2346-7819

© სტატიების ავტორები

© Authors

ჟურნალის მთავარი რედაქტორები მადლობას უხდიან კომპანიებს – „PLS – Professional Legal Services“ და „BDG – Business Development Group“-ს მხარდაჭერისთვის.

The Editors In Chief of the Journal express their gratitude to „PLS – Professional Legal Services“ and „BDG – Business Development Group“ for the support provided.



სარჩევი

TABLE OF CONTENTS

მთავარი რედაქტორებისგან (ბესარიონ ზოიძე, თამარ ზარანდია, მარიკა დუმბაძე)

A Letter from The Editors in Chief (Besarion Zoidze, Tamar Zarandia, Marika Dumbadze)9

I. კონფერენცია თემაზე: არასრულწლოვანთა ქორწინება: ისტორიული მდგომარეობა და თანამედროვე სამართლის დამოკიდებულება (26 ივნისი, 2024 წელი)

I. Conference on the topic: Child Marriage: Historical Situation and Modern Legal Approach (June 26, 2024)

ბესარიონ ზოიძე

არასრულწლოვანთა ქორწინება ადამიანთა ფორმალური და ფაქტობრივი ცხოვრების მაგალითზე

Besarion Zoidze

Marriage of Minors: A Perspective Through Formal and Factual Law.....11

ვახტანგ ნოღაიდელი

არასრულწლოვანთა ქორწინება: კერძოსამართლებრივი რეგულირების პოლიტიკა და თანამედროვე ტენდენციები ქონებრივი უფლებების კონტექსტში

Vakhtang Nogaideli

Marriage of Minors: Private Law Policy and Contemporary Trends in the Context of Property Rights.....28

მანანა ოთარაშვილი

საქორწინო ასაკის პრობლემა ძველ ქართულ სამართალში

Manana Otarashvili

The Issue of Marriage Age in Old Georgian Law.....57

ლიზა დიასამიძე

არასრულწლოვნის იძულებითი ქორწინების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ანალიზი

Liza Diasamidze

Criminal and Criminological Analysis of Child Marriage68

ნესტან ანანიძე

ქალებისა და გოგოების ნიშნობისა და იძულებითი ქორწინების საკანონმდებლო რეგულირება, არსებული პრაქტიკა და გამოწვევები

Nestan Ananidze

Legal Regulation of Betrothal and Forced Marriage among Women and Girls: Current Practices and Challenges.....94

ანრი ზოიძე

არასრულწლოვანთა ქორწინების მდგომარეობა საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით

Anri Zoidze

The legal status of underage marriage under Soviet legislation123

ნინო ფალავანდიშვილი

ასაკის მნიშვნელობა ქმედუნარიანობის დაფუძნებაში

Nino Phalavandishvili

The Importance of Age in establishing Legal Capacity136

სალომე ნარმანია, ტატო მიქაია

ემანსიპაციის სამართლებრივი ნახნაგები

Salome Narmania, Tato Mikaia

Legal Aspect Of Emancipation145

II. სტატიები

II. ARTICLES

ბესარიონ ზოიძე

რა მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი ინტერესის ქონას და მისთვის მოქმედებას ორგანიზაციის (იურიდიული პირის) სამართალსუბიექტობის დაფუძნებაში?

Besarion Zoidze

The Legal Significance of Possessing and Acting in One's Own Interest in the Formation of Legal Personality of an Organization (Legal Entity).....152

თამარ ზოიძე

ენის გამოყენების საკანონმდებლო მოწესრიგება მომხმარებელზე ინფორმაციის მიწოდებისას

Tamar Zoidze

Regulation of Language Use in Providing Information to Consumers166

ირაკლი ლეონიძე, ზურაბ შერაზაძე

აუცილებელი გზა - აუცილებელი უფლება სამეზობლო სამართალში

Irakli Leonidze, Zurab Sherazadishvili

Way of Necessity: An Essential Right for Neighboring Tenements175

ნინო ახალაძე

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მისი მიმართება მევახშეობასთან

Nino Akhaladze

Legal Nature of the Loan Agreement and its Correlation to Usury188

მარიამი ბერულავა

კრიპტოვალუტის ფასიან ქალაქიდან მიჩნევის მიზანშეწონილობის თაობაზე

Mariami Berulava

Regarding The Advisability Of Considering Cryptocurrency As A Security212

ზურაბ ბიჭოლაშვილი

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი

Zurab Bitcholashvili

Some aspects of the legal regulation of Central Bank Digital Currency235

იანა მღებრიშვილი

თანხმობის კონცეფცია შრომით ურთიერთობებში: სამართლიანობისა და ღირსების ხელშეწყობა სამუშაო ადგილზე

Iana Mghebrishvili

Consent in Labor Relations: Promoting Fairness and Dignity in the Workplace252

გიორგი ქურციკიძე

კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპის კონსტიტუციური განზომილებები: ფუნდამენტური სოციალური უფლებების სამართლებრივი პერსპექტივა

Giorgi Kurtsikidze

Constitutional Dimensions of the Welfare State Principle: A Legal Perspective on Fundamental Social Rights.....263

თამთა რობაკიძე

ელექტრონულ კომერციაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის გამოწვევები საქართველოში

Tamta Robakidze

Challenges of consumer rights protection in electronic commerce in Georgia275

ეკატერინე ბუაძე

არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ისტორიული განვითარების ფონი და მათი თანამედროვე რეგულირების ფორმები

Ekaterine Buadze

The historical background of intangible property rights and their modern forms of regulation.....289

სალომე ნარმანია, ტატო მიქაია

საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებათა ცნება, სასამართლო პრაქტიკის ანა
ლიზი კომპარატივისტული განმარტების საფუძველზე

Salome Narmania, Tato Mikaia

Public Order, Morality, and the Validity of Contracts A Comparative Jurisprudential Analysis.....301

SOME ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF CENTRAL BANK DIGITAL CURRENCY

ABSTRACT

The purpose of the paper is to study Central Bank Digital Currency (hereinafter referred to as “CBDC”) from a legal point of view, in particular, to highlight the main features that characterize it; to classify it; to determine its legal nature as an object of private law; distinguish it from similar property such as electronic money, scriptural money and cryptocurrencies; Also, to study the model of the transfer of ownership and, based on the principles developed by the International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), to establish guarantees for the protection of the bona-fide acquirer.

The paper also focuses on the nature and content of the legal relationship between the financial institution and the client in the process of administration of CBDC.

The comparative-legal method is used in the research. The paper reviews the current legislation of Georgia, the European Union and the Russian Federation; Standard contractual terms and conditions of commercial banks of the People’s Republic of China; Also, relevant legal literature and studies/conclusions of international organizations; draft legislative acts that should regulate digital currencies.

The results of the research are discussed from the Georgian legislative perspective. In particular, the norms of the current version of the Civil Code of Georgia are reviewed, based on which, on the one hand, digital currencies and, on the other hand, the relationship between the financial institution and the client should be regulated.

As a conclusion, based on the analysis of foreign experience, the author formulates the working proposals, the implementation of which into the national legislation will strengthen the stability of Digital Lari (DGEL) circulation.

Keywords: Digital Lari, Central Bank Digital Currency, cryptocurrency, electronic money, intangible asset, bona-fide acquirer.

ზურაბ გიჭოლაშვილი*

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების
ზოგიერთი ასპექტი

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნე ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაა. დიგიტალიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ცვლის და, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც სამოქალაქო ბრუნვა და ეკონომიკაა. ელექტრონული ვაჭრობის განვითარება/დომინირება ძირეულად ცვლის როგორც გადახდების ეკონომიკას¹ და სავალუტო სისტემას, ისე თავად ფულის კონცეფციასაც.²

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნაღდი ფულის წილი ტრანზაქციების მთლიან მოცულობაში თანდათან იკლებს, რაც ზრდის მოთხოვნას ნაღდი ფულის „ჩამნაცვლებელზე“, ე. ი. უნაღდო ანგარიშსწორებაზე.³ ეს უკანასკნელი შეიძლება შესრულდეს როგორც ფინანსური შუამავლის⁴ მეშვეობით (მაგალითად, საგადახდო დავალების, საბანკო პლასტიკური ბარათის და კანონმდებლობით რეგულირებული ანგარიშსწორების სხვა ხერხებით⁵), ისე დეცენტრალიზებული ქსელის გამოყენებით,⁶ მაგ., კრიპტოვალუტების შემთხვევაში.⁷

ხსენებული ტენდენციის მიუხედავად, ცენტრალური ბანკები მომხმარებელს ანგარიშსწორების საშუალებად ჯერაც მხოლოდ მონეტებსა და ბანკნოტებს სთავაზობენ. შესაბამისად, არამატერიალური ფორმით არსებული ფულიდან (რაც გადახდებს უფრო ხელმისაწვდომს და სწრაფს ხდის) მოსახლეობას მხოლოდ კომერციული ბანკებისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ე.წ. კერძო ფულზე⁸ მიუწვდება ხელი.⁹

ამ და კიდევ მრავალმა სხვა მიზეზმა უბიძგა ცენტრალურ ბანკებს მსოფლიოს 134 ქვეყანაში, რომ დაეწყოთ მუშაობა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (შემდგომში – ციფრული ვალუტა) კონცეფციაზე.¹⁰ გამონაკლისი არც საქართველოა. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; ამავე ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

¹ Ahnert T., Hoffmann P., Monnet C. (2022), “The digital economy, privacy, and CBDC”, ECB Working Paper, No 2662, May.

² Auer R., Frost J., Gambacorta L., Monnet C., Rice T., Shin H. S., Central bank digital currencies: motives, economic implications and the research frontier, “Annual Review of Economics”, Vol. 14, 2022, 698.

³ Khaonarong T. & Humphrey D. 2022. Falling Use of Cash and Demand for Retail Central Bank Digital Currency (IMF Working Paper WP/22/27). International Monetary Fund. ©IMF. <<https://doi.org/10.5089/9798400200861.001>> [10.06.2025].

⁴ Alt R., Huch S., Fintech Dictionary: Terminology for the Digitalized Financial World, Wiesbaden, 2022, 93.

⁵ მათ ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №166 „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი, სსმ, 97, 10/07/2007 (ძალადაკარგულია, 22.01.2015).

⁶ Peer-to-peer payments (P2P). იხ. Alt R., Huch S., Fintech Dictionary: Terminology for the Digitalized Financial World, Wiesbaden, 2022, 152.

⁷ ამ მოდელზეა დაფუძნებული ბიტკოინიც. იხ. გაბისონია ზ., ბიტკოინის, როგორც ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალური ასპექტები, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, №2, 2019, 39.

⁸ ფინანსური ინსტიტუტების და ცენტრალური ბანკის ფულის გამიჯვნა დაწვრილებით განხილულია ნაშრომის 3.1. თავში.

⁹ Financial Stability Institute (FSI) (2023): “Central bank digital currencies – Executive Summary”, FSI Executive Summaries, <<https://www.bis.org/fsi/fsisummaries/cbdc.pdf>> [10.06.2025].

¹⁰ თუმცა, უნდა აღინიშნოს აშშ-ს შესახებ, სადაც ფედერალურ სააგენტოებს აკრძალათ ნებისმიერი საქმიანობა, რომე-

ციფრული ლარის პროექტზე.¹¹

მიუხედავად აქტიური კვლევისა თუ საპილოტე რეჟიმში ჩაშვებისა, ციფრული ვალუტები ჯერაც არაა სათანადოდ შესწავლილი. ეს ეხება საკითხის როგორც ეკონომიკურ, ისე სამართლებრივ მხარეს. შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ვალუტები, ეკონომიკურთან შედარებით, სამართლებრივად კიდევ უფრო ნაკლებადაა შესწავლილი და ამაზე ამ საკითხის კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების სიმწირეც მიუთითებს.¹² მდგომარეობას უფრო ართულებს ისიც, რომ შესაბამისი სამართლებრივი ბაზა მხოლოდ ახლა იქმნება, ასევე არ მოიძებნება სასამართლო პრაქტიკა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სამართლებრივი თვალსაზრისით შეისწავლოს ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა. კერძოდ, სტატიის პირველი თავი ეთმობა ციფრული ვალუტის დეფინიციის საკითხს, მეორე მიმოიხილავს კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს, მესამე თავში ყურადღება მახვილდება ციფრული ვალუტის, როგორც კერძო სამართლის ობიექტის, სამართლებრივ ბუნებაზე, მასთან დაკავშირებული უფლებების გადასვლის მოდელსა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სტანდარტზე. მსგავსი ქონებრივი სიკეთეებისგან (კრიპტოვალუტებისგან, ელექტრონული ფულისა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან) ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის გამიჯვნის კრიტერიუმები განხილულია ნაშრომის მეოთხე თავში.

1. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის დეფინიცია

დღესდღეობით არ არის შემუშავებული ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის ერთიანი დეფინიცია. მსოფლიო სავალუტო ფონდის განმარტებით, ესაა ცენტრალური ბანკების მიერ ახალი, ციფრული ფორმით გამოშვებული ფული, რომელსაც, ნავარაუდებია, რომ უნდა ჰქონდეს გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი.¹³

დეფინიცია გამოკვეთს რამდენიმე აუცილებელ ნიშანს, რომელიც უნდა ჰქონდეს ციფრულ ვალუტებს:

1. ემიტენტი – ცენტრალური ბანკი;
2. ფორმა – ციფრული;
3. სამართლებრივი სტატუსი – გადახდის კანონიერი საშუალება.

ამასთან, გასაზიარებელია პოზიცია, რომ ხსენებული ტერმინი ზოგადია და გამოიყენება იმ მრავალფეროვანი ციფრული ფულისა და გადახდის საშუალებების აღსანიშნავად, რომლებსაც იკვლევენ ცენტრალური ბანკები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.¹⁴

მეტიც, ციფრული ვალუტების ლეგალური დეფინიცია ზოგიერთ სახელმწიფოში არცაა შემუშავებული და განმტკიცებული ნორმატიულად (მაგ., რუსეთში), ხოლო სადაც შემუშავებულია, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგ., ციფრული ევრო განმარტებულია, როგორც

ლიც დაკავშირებულია ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის შემოღებასთან, ემისიასთან ან პოპულარიზაციასთან, ასევე, დაევაღათ შეწყვიტონ ნებისმიერი საქმიანობა ამ მიმართულებით; იხ. Executive Order 14178 of January 23, 2025 “Strengthening American Leadership in Digital Financial Technology”, Sec. 5(a),(b), Federal Register, Vol. 90, No. 20, 31/01/2025, 8649. როგორც ჩანს, ახალმა ადმინისტრაციამ CBDC-ს ნაცვლად კრიპტოვალუტებზე შეაჩერა არჩევანი.

¹¹ National Bank of Georgia (2023): Project DGEL. Public Note, <<https://nbg.gov.ge/fm/მედია/სიახლე/დოკუმენტები/2023/public-note.pdf>> [15.05.2024].

¹² Санникова Л. В., Правовые основы цифровых валют центральных банков и цифрового рубля, “Финансовый журнал”, Т. 15, №5, 2023, 28.

¹³ Nieborak T., Central Bank Digital Currency as a New Form of Money, “Bialystok Legal Studies”, Vol. 29, №1, 2024, 195.

¹⁴ Dalinghaus U. M., A Substitute without Substitute: Cash Money, Digital Euros, and the Shifting Futures of Currency Communities, Money Law, Capital, and the Changing Identity of the European Union, Gimigliano G., Cattelan V. (eds.), Oxford, UK; New York, NY, 2022, 72.

ერთიანი ვალუტის [ევროს] ციფრული ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.¹⁵

აშშ-ში ის განიმარტება, როგორც ფულის ან ფულადი ღირებულების ციფრული ფორმა, რომელიც გამოხატულია (დენომინირებულია) ეროვნულ ფულის ერთეულში და წარმოადგენს ცენტრალური ბანკის უპირობო ვალდებულებას.¹⁶

ციფრული იუანი (E-CNY) დეფინიციის¹⁷ პირველი წინადადებით ფიატური ფულის ციფრულ ვერსიად ცხადდება, რომელიც ემიტირებულია ჩინეთის სახალხო ბანკის მიერ და რომლის ოპერირებას ახდენენ ავტორიზებული დანესებულებები. მეორე წინადადებით კი განმტკიცებულია ციფრული იუანის, როგორც გადახდის საშუალების, ტექნიკური მახასიათებლები (ეფუძნება ციფრული ტოკენების ტექნოლოგიას,¹⁸ რომლებიც ინახება ციფრულ საფულეში. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ პასუხისმგებელი ფინანსური ორგანიზაციის კონტროლქვეშაა.¹⁹ ასევე, შესაძლებელია გადახდების წარმოება ბანკში ანგარიშის გაუხსნელად ან ციფრული საფულის უკვე არსებულ ანგარიშზე მიმაგრების გარეშე²⁰) და გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი.

როგორც ვხედავთ, ციფრული იუანის შემთხვევაში, ჩინეთის სახალხო ბანკის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია უფრო ინფორმატიულია. კომერციული ბანკებიც, როგორც წესი, მას ეყრდნობიან ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შედგენისას (ან სულაც უცვლელად რთავენ ხელშეკრულებაში).²¹ თუმცა, ტექნიკური ტერმინების სიმრავლემ და, ზოგ შემთხვევაში, მათმა ბუნდოვანებამ, დამატებითი სირთულეები შეიძლება შექმნას ხელშეკრულების განმარტებისას.

ამდენად, სასურველია, ციფრული ლარის შემუშავების შემდეგ, მისი დეფინიცია საკანონმდებლო აქტით ან ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მაინც განმტკიცდეს, რათა კლიენტისათვის მარტივად გასაგები იყოს.

2. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების კლასიფიკაცია

ციფრული ვალუტების კლასიფიკაცია მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან უკეთ გამოიკვეთება ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა შეიქმნას მარეგულირებელი ბაზა. როგორც წესი, კლასიფიკაცია ხდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1) ოპერაციული მოდელი; 2) კლიენტის ავთენტიფიკაციის მოდელი; 3) მონაცემთა შემნახველი ინფრასტრუქტურა; 4) პირთა (მომხმარებელთა) წრე.

მათგან, სამართლებრივი თვალსაზრისით, საინტერესოა კლასიფიკაცია მხოლოდ შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: 1) ოპერაციული მოდელი; 2) კლიენტის ავთენტიფიკაციის მოდელი.

¹⁵ იხ. Commission, "Proposal for a Regulation of The European Parliament and of The Council on the establishment of the digital euro" COM(2023) 369 final, art. 2(1).

¹⁶ Executive Order 14178 of January 23, 2025 "Strengthening American Leadership in Digital Financial Technology", Sec. 2(c), Federal Register, Vol. 90, No. 20, 31/01/2025, 8649.

¹⁷ People's Bank of China (2021): Progress of Research & Development of E-CNY in China, Working Group on E-CNY Research and Development, 3, <<http://www.pbc.gov.cn/en/3688110/3688172/4157443/4293696/2021071614584691871.pdf>> [17.05.2024].

¹⁸ Кочергин Д. А., Цифровые валюты центральных банков: опыт внедрения цифрового юаня и развитие концепции цифрового рубля, "Russian Journal of Economics and Law", T. 16, № 1, 2022, 60.

¹⁹ Goodell G., Nakib H., The Development of Central Bank Digital Currency in China: An Analysis, 5, <<https://www.systemicrisk.ac.uk/sites/default/files/2021-12/2108.05946.pdf>> [11.05.2024].

²⁰ Wang H., China's approach to Central Bank Digital Currency: Selectively Reshaping International Financial Order?, "University of Pennsylvania Asian Law Review", Vol. 18, 2022, 88.

²¹ მაგ., იხ. ჩინეთის საფოსტო შემნახველი ბანკის ხელშეკრულება, მე-4 მუხლი, <<https://mobile.psbc.com/mobilebank/html5/protocolHtml/110052930002.html?v=>>> [11.05.2024].

ნაშრომში განგებ არ არის მიმოხილული კლასიფიკაცია მონაცემთა შემნახველი ინფრასტრუქტურის (ცენტრალიზებული თუ განაწილებული რეესტრის) მიხედვით, რადგან აღნიშნული საკითხები ციფრული ვალუტებისგან დამოუკიდებლად რეგულირდება,²² მჭიდროდაა დაკავშირებული მონაცემთა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა) დაცვასთან²³ და, ამდენად, მათი მიმოხილვა სცდება ნაშრომის მიზნებს.

რაც შეეხება კლასიფიკაციას პირთა (უფრო კონკრეტულად, მომხმარებელთა) წრის მიხედვით, როგორც შესავალში აღინიშნა, ციფრული ვალუტები იქმნება იმისათვის, რომ მასზე წვდომა ჰქონდეს პირთა ფართო წრეს და არა მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაციებს. აღნიშნული მიდგომა იკვეთება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული პროექტიდანაც – მიმდინარეობს მუშაობა ე.წ. საცალო ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტაზე,²⁴ შესაბამისად, ეს საკითხი არ საჭიროებს დეტალურ განხილვას.

2.1. კლასიფიკაცია ოპერაციული მოდელის²⁵ მიხედვით

ოპერაციული მოდელი განისაზღვრება ცენტრალური ბანკისა და ფინანსური ინსტიტუტების უფლებამოსილებათა მოცულობის და თანაფარდობის მიხედვით. იგი უზრუნველყოფს ციფრული ვალუტების ბრუნვის სტაბილურობას. გამომდინარე აქედან, მართალია ის უშუალოდ არ ახდენს გავლენას ციფრული ვალუტების სამართლებრივ ბუნებაზე, მაგრამ მოქმედებს, ერთი მხრივ, კლიენტსა და, მეორე მხრივ, ცენტრალურ ბანკს/ფინანსურ ინსტიტუტს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსზე.

გამოიყოფა ორი ოპერაციული მოდელი – ერთდონიანი და ორდონიანი²⁶ (ორდონიანის შიგნით გამოყოფენ ჰიბრიდულსაც). ერთდონიანი მოდელის შემთხვევაში, კლიენტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის თავად ცენტრალური ბანკი და უწევს მათ საბანკო მომსახურებას, მათ შორის, თავადვე ახორციელებს ტრანზაქციებს.²⁷ კომერციული ბანკები არ მონაწილეობენ ამ მოდელში.

რაც შეეხება ორდონიან მოდელს, ის უფრო კომპლექსურია. ამ შემთხვევაში კლიენტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიან კომერციული ბანკები (ან საგადახდო მომსახურების სხვა პროვაიდერები, როგორც ეს ევროდირექტივის პროექტიდან ჩანს), რომლებიც უხსნიან კლიენტებს ანგარიშებს/ელექტრონულ საფულეებს, აწარმოებენ ტრანზაქციებს, ანაღლებენ ციფრულ ვალუტას და პირიქით და ა.შ.²⁸ ცენტრალურ ბანკებს კლიენტებთან სახელშეკრულებო ურთიერ-

²² მაგ., განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის სამართლებრივ რეგულირებაზე იხ. გაბისონია ზ., ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების არსი და პრობლემები, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, №3, 2019, 6-9.

²³ Jiang J., Privacy Implications of Central Bank Digital Currency, „Seton Hall Law Review“, Vol. 54, Issue 1, 2023, 114.

²⁴ ინგ. Retail Central Bank Digital Currency (rCBDC). მისი ანტიპოდი ა.წ. საბითუმო ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (Wholesale Central Bank Digital Currency), რომელზე წვდომაც მხოლოდ კომერციულ ბანკებს და სახელმწიფო ორგანოებს აქვთ. იხ. Wouter B., Itatani M., Margulis C., Rossi A., Weenink H., Yoshinaga A. 2020. Legal Aspects of Central Bank Digital Currency: Central Bank and Monetary Law Considerations (IMF Working Paper WP/20/254). International Monetary Fund. ©IMF. <<https://doi.org/10.2139/ssrn.3758088>> [10.06.2025].

²⁵ ინგ. Operational model.

²⁶ Jiang J., Privacy Implications of Central Bank Digital Currency, „Seton Hall Law Review“, Vol. 54, Issue 1, 2023, 107-108.

²⁷ Bank for International Settlements (BIS) (2022): „A Prototype for Two-tier Central Bank Digital Currency (CBDC)“, 5.

²⁸ ამომწურავი ჩამონათვალი იხ. Commission, „Proposal for a Regulation of The European Parliament and of The Council on the establishment of the digital euro“ COM(2023) 369 final, Annex I and Annex II.

თობაში შესვლა ეკრძალებათ.²⁹

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციის დონეზე შემუშავებული ორდონიანი მოდელი პრაქტიკაში, საკანონმდებლო ნორმების დანერგვის გზით, ერთდროულად შეიძლება იქცეს (ან ძალიან დაუახლოვდეს მას), როგორც ეს რუსეთის ფედერაციაში მოხდა. 2021 წელს შემუშავებული ციფრული რუბლის კონცეფციით, რუსეთის ცენტრალური ბანკის კომპეტენციაში მხოლოდ ციფრული რუბლის პლატფორმის შემუშავება, ციფრული რუბლის ემისია, საკრედიტო დაწესებულებების ანგარიშების მომსახურება და სხვა ფუნქციები შედიოდა.³⁰ რაც მთავარია, კლიენტების დავალებით, გადახდები და გადარიცხვები უნდა ეწარმოებინათ ფინანსურ ორგანიზაციებს. თუმცა, 2023 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები (რომლებითაც შეიქმნა სამართლებრივი ბაზისი ციფრული რუბლის დასაწერად) კონცეფციისგან სრულიად საპირისპირო მოწესრიგებას გვთავაზობს. კერძოდ, გაფართოვდა ცენტრალური ბანკის, როგორც ციფრული რუბლის პლატფორმის ოპერატორის,³¹ უფლებამოსილებები: მასთან შედის მომხმარებელი სახელშეკრულებო ურთიერთობაში და იგი ახორციელებს ოპერაციებს ციფრული რუბლით.

საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც იწოდებიან ციფრული რუბლის პლატფორმის მონაწილეებად, ახორციელებენ მხოლოდ დამხმარე ფუნქციებს. უზრუნველყოფენ: პლატფორმასთან მომხმარებლის წვდომას (ამ უკანასკნელისთვის პროგრამული უზრუნველყოფის სახით გადაცემული გადახდის ელექტრონული საშუალების³² გამოყენებით); ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ ურთიერთკავშირს ოპერატორსა და მომხმარებელს შორის. ასევე, ამ უკანასკნელის მიერ საგადახდო დავალების ინიცირებისას, ამონებენ მხოლოდ კლიენტის უფლებამოსილებას, განკარგოს სახსრები, და საგადახდო დავალების რეკვიზიტებს. თუ დოკუმენტაცია წესრიგშია, ის ეგზავნება ცენტრალურ ბანკს, რომელიც ჯერ ამონებს ოპერაციის ინიციატორის უფლებამოსილებას და მხოლოდ ამის შემდეგ ასრულებს ოპერაციას.³³

ამრიგად, საკრედიტო დაწესებულებები მხოლოდ დოკუმენტბრუნვის პროცესში არიან ჩართულნი. მათ კომპეტენციას მხოლოდ მომხმარებლის უფლებამოსილების შემოწმება და ცენტრალური ბანკის ავთიზირება განეკუთვნება, რაც ლიტერატურაში ორდონიანი საბანკო სისტემის ერთდროულად გარდაქმნის წინაპირობად მიიჩნევა.³⁴

საქართველოს ეროვნული ბანკის კონცეფციის მიხედვით, ციფრული ლარის ადმინისტრირება ორდონიან მოდელს უნდა დაეფუძნოს. იმედია, კონცეფციაში დასახული მიზანი შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებით სრულყოფილად იქნება რეალიზებული და თავიდან ავიცილებთ მის ერთდროულად გარდაქმნას.

²⁹ Commission, “Proposal for a Regulation of The European Parliament and of The Council on the establishment of the digital euro” COM(2023) 369 final, art. 13(6).

³⁰ Банк России, Концепция Цифрового Рубля, ст. 9-10, <https://cbr.ru/Content/Document/File/120075/concept_08042021.pdf> [12.05.2024].

³¹ Положение Банка России от 03.08.2023 N 820-П «О платформе цифрового рубля» (вместе с «Порядком урегулирования споров и разногласий»), абзац 1, п. 1.1, Официальный сайт Банка России, 11.08.2023.

³² რაც ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრებული საგადახდო ინსტრუმენტის მსგავსი ცნებაა.

³³ Федеральный закон от 27.06.2011 N 161-ФЗ (ред. от 24.07.2023) “О национальной платежной системе”, п. 5-10, ст. 7.1, “Собрание законодательства РФ”, N 27, 04.07.2011.

³⁴ Ефимова Л. Г., Розничная двухуровневая модель цифрового рубля (модель D) — путь к появлению в России одноуровневой банковской системы, “Вестник Университета имени О.Е. Кутафина (МГЮА)”, №1, 2023, 28-31.

2.2. კლასიფიკაცია კლიენტის ავთენტიფიკაციის მოდელის მიხედვით

ლიტერატურაში გამოყოფენ ანგარიშზე დაფუძნებულ და ტოკენზე დაფუძნებულ ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტებს.³⁵ თუმცა, არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება ამ ცნებათა გამოიჯენა. მეტიც, ზოგიერთ ნაშრომში საერთოდ უგულებელყოფილია ასეთი კლასიფიკაციის საჭიროება.³⁶

მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით, განსხვავება ციფრული ვალუტების ბრუნვის და მასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის მოდელებშია. ანგარიშზე დაფუძნებული ციფრული ვალუტების შემთხვევაში, ისინი არსებობენ ფინანსურ ინსტიტუტებში გახსნილ ანგარიშებზე, ჩანანერის სახით. ტრანზაქცია ხორციელდება გადამხდელის ანგარიშის დადებების და მიმღების ანგარიშის დაკრედიტების გზით.³⁷ ამრიგად, აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ციფრული ვალუტა სხვა არაფერია, თუ არა ჩანანერი (მსგავსად საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისა³⁸), ღირებულების გამომხატულება. როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ის არ არსებობს. ხსენებული კონცეფციის საპირისპიროდ, ტოკენზე დაფუძნებული სისტემა შედგება წინასწარ განსაზღვრული გარკვეული ნომინალის მქონდე ინდივიდუალური ფულადი ერთეულებისგან. შეუძლებელია თითოეული ერთეულის ნაწილობრივ „დახარჯვა“, ის სხვა ღირებულების ერთეულით ნაცვლდება.³⁹ ამგვარად, აღნიშნული მოდელი ემსგავსება ნაღდ ფულს, როდესაც პირის ფულადი აქტივები შედგება სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტებისგან, თითოეულ მათგანს კი უნიკალური სერიული ნომერი აქვს მინიჭებული, რითაც მისი ინდივიდუალიზაციაა შესაძლებელი.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მეორე შეხედულება, რომელიც მეტადაა გაზიარებული. იგი გამოიყენებს კრიტერიუმად მომხმარებლისთვის წაყენებულ ავთენტიფიკაციის მოდელს მიიჩნევს.⁴⁰ ანგარიშზე დაფუძნებულ სისტემაში მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავთენტიფიკაცია, რათა დადგინდეს მისი იდენტობა („მე ვარ, ამიტომ ვფლობ“). ტოკენზე დაფუძნებულ სისტემაში ციფრულ ვალუტაზე წვდომისათვის საკმარისია პაროლის ცოდნა („მე ვიცი, ამიტომ ვფლობ“). თუმცა, თავად ავტორები აღნიშნავენ, სისტემის ანგარიშებზე ან ტოკენებზე დაფუძნება თავისთავად სრულად ვერ მოაგვარებს კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს.⁴¹ ასევე, გაუგებარია, თუ გამოიყენისათვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების (რაც, თავის მხრივ, ანგარიშზე/ელექტრონულ საფულეზე წვდომის უფლების მოსაპოვებლად ხდება) მასშტაბს ენიჭება განმსაზღვრელი მნიშვნელობა, რატომ ხდება ციფრული ვალუტის და არა ანგარიშების/ელექტრონული საფულეების კლასიფიკაცია ამ კრიტერიუმის მიხედვით; რატომ გამოიყოფა ციფრული ვალუტების

³⁵ იხ. Account-based CBDC; Token-based CBDC. იხ. Bank of England (2020), “Central Bank Digital Currency: Opportunities, Challenges, and Design”, Discussion Paper, Bank of England: London, 47.

³⁶ Arab Regional Fintech Working Group (2020): Central Bank Digital Currencies: An Analytical Framework for Arab Central Banks, Arab Monetary fund.

³⁷ იქვე.

³⁸ Wouter B., Itatani M., Margulis C., Rossi A., Weenink H., Yoshinaga A. 2020. Legal Aspects of Central Bank Digital Currency: Central Bank and Monetary Law Considerations (IMF Working Paper WP/20/254), §10. International Monetary Fund. ©IMF. <<https://doi.org/10.2139/ssrn.3758088>> [10.06.2025].

³⁹ Bank of England (2020), “Central Bank Digital Currency: Opportunities, Challenges, and Design”, Discussion Paper, Bank of England: London, 47.

⁴⁰ Wouter B., Itatani M., Margulis C., Rossi A., Weenink H., Yoshinaga A. 2020. Legal Aspects of Central Bank Digital Currency: Central Bank and Monetary Law Considerations (IMF Working Paper WP/20/254), §19. International Monetary Fund. ©IMF. <<https://doi.org/10.2139/ssrn.3758088>> [10.06.2025]. ასევე იხ. Auer R., Boehme R., (2020): “The technology of retail central bank digital currency”, BIS Quarterly Review, March, pp 93-95.

⁴¹ Auer R., Boehme R., (2020): “The technology of retail central bank digital currency”, BIS Quarterly Review, March, 94.

მაინცდამაინც ორი კატეგორია და არა, მაგ. ოთხი, როგორც ეს ჩინეთშია.⁴²

და ბოლოს, მესამე შეხედულების მიხედვით, თუ ანგარიშზე დაფუძნებული სისტემა ახდენს მომხმარებლის ავთენტიფიკაციას, ტოკენზე დაფუძნებული სისტემა ამონებს თავად ტოკენის (ციფრული ვალუტის) ნამდვილობას (არ იყოს ის გაყალბებული ან უკვე დახარჯული).⁴³ უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ ის დაცული იყოს როგორც თაღლითობისგან, ისე ფულის გაყალბებისგან. შესაბამისად, აღნიშნული შეხედულების გაზიარება, რაც ხსენებული ორი ასპექტიდან მხოლოდ ერთს ითვალისწინებს, ძალზედ პრობლემურია.

როგორც ვხედავთ, მკვლევართა პოზიციები ჯერაც არ არის შეჯერებული. უფრო მისაღებია პირველი პოზიცია, ვინაიდან ის დანარჩენებთან შედარებით თანმიმდევრულია და გამოკვეთს, თუ რატომ უნდა კლასიფიცირდეს ციფრული ვალუტა მაინცდამაინც ანგარიშზე ან ტოკენზე (და არა, მაგალითად, ძლიერი ან სუსტი ავთენტიფიკაციის მოდელზე) დაფუძნებულად. სასურველია, თუ ეს თვალსაზრისი იქნება გაზიარებული ციფრული ლარის შექმნის პროცესშიც.

3. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა, როგორც კერძო სამართლის ობიექტი

საინტერესოა, სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორ დარეგულირდება ციფრული ვალუტების ბრუნვა: კერძო სამართლის ობიექტთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი და როგორ უნდა მოხდეს მათთან დაკავშირებული უფლებების გადაცემა.

ციფრული ვალუტა, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება, ბუნებრივია, რომ იქნება სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი და როგორც გაცვლის, დაგროვების და ღირებულების გამოხატვის საშუალება, მოექცევა ფულის – საყოველთაო ექვივალენტის – კონცეფციაში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დოქტრინაში,⁴⁴ ისე სასამართლო პრაქტიკაში,⁴⁵ ფული გვაროვნულ ნივთად მიიჩნევა. თუმცა, განსხვავებულია საბანკო ანგარიშის მფლობელის სამართლებრივი მდგომარეობა – იგი თანხის ანგარიშზე შეტანისას კარგავს ფულზე (ბანკნოტებზე) სანივთო უფლებას და აღიჭურვება ბანკისადმი მოთხოვნის უფლებით.⁴⁶

ანალოგიური მიდგომა უნდა გავრცელდეს ციფრულ ვალუტასთან მიმართებითაც. კერძოდ, ის არაა სხეულებრივი საგანი, თუმცა შეუძლია სარგებლის მოტანა (აქვს ღირებულება, რითაც ზრდის მფლობელის აქტივებს), რის გამოც უნდა ჩაითვალოს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ,⁴⁷ უფრო ზუსტად კი მოთხოვნად, მსგავსად საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისა (მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთისგან იმიჯნება⁴⁸). აღნიშნული პოზიცია დაფიქსირებულია გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.⁴⁹

⁴² მაგ. ჩინეთის საფოსტო შემნახველი ბანკის ხელშეკრულება, მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი, <<https://mobile.psbc.com/mobilebank/html5/protocolHtml/110052930002.html?v=>> [11.05.2024].

⁴³ Jiang J., Privacy Implications of Central Bank Digital Currency, „Seton Hall Law Review“, Vol. 54, Issue 1, 2023, 119.

⁴⁴ ზამბახიძე თ., კომერციული ბანკების მიერ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე განეული მომსახურების სამართლებრივი პრობლემები, თბ., 2001, 80.

⁴⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/3141-18.

⁴⁶ გოთუა ლ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.tsu.ge, 30.01.2020, მუხ. 859, ველი 10. <<https://gccc.tsu.ge/>> [16.05.2024].

⁴⁷ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, 152-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

⁴⁸ იხ. ნაშრომის 3.1.2. თავი.

⁴⁹ Kriese L., Central Bank Digital Currency: A Technical, Legal and Economic Analyses, Frankfurt am Main, 2023, 104 (მხოლოდ ან-

გერმანიისგან მცირედით განსხვავდება რუსული მიდგომა. რუსეთის სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო სამართლის ობიექტების უფრო დეტალურ ჩამონათვალს შეიცავს. მისი 128-ე მუხლი ციფრულ რუბლს სახელდებით მოიხსენიებს და „უნაღდო ფულადი სახსრების“ ჯგუფში აერთიანებს, ეს უკანასკნელი კი ქონებრივი უფლებების კატეგორიას განეკუთვნება. ამავე კოდექსის 140-ე მუხლი კი ციფრული რუბლით განხორციელებულ ტრანზაქციებს უნაღდო ანგარიშშორების სახედ მოიხსენიებს.⁵⁰ აღნიშნული მიდგომა (კერძო სამართლის ობიექტთა ჩამოთვლა, თუნდაც საორიენტაციოდ, და მასში ციფრული ვალუტის სახელდებით მოხსენიება) უცხოა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობისთვის⁵¹ (დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსისა⁵² და მის საფუძველზე მიღებული კოდექსებისაგან განსხვავებით), შესაბამისად, არც ციფრულ ლარზე სპეციალური მითითების ჩამატება იქნება მართებული მე-7 ან/და 152-ე მუხლებში. როგორც უკვე აღინიშნა, ციფრული ლარი თავისთავად მოექცევა არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ცნებაში.

3.1. სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა

სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების დადებით, რომლის მხარეები არიან, ერთი მხრივ, ფინანსური ინსტიტუტი ან ცენტრალურ ბანკი და, მეორე მხრივ, მომხმარებელი. იგი წარმოშობს ვალდებულებით-სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს. ვალდებულ პირად გვევლინება ანგარიშის გამხსნელი (ცენტრალური ბანკი ან ფინანსური ინსტიტუტი), ხოლო მოთხოვნის შინაარსი მდგომარეობს ხსენებული ფულადი სახსრების განაღდებაში,⁵⁴ ტრანზაქციების განხორციელებაში⁵⁵ და სხვ.

თუ ხელშეკრულების პირობები წინასწარ იქნება ჩამოყალიბებული ცენტრალური ბანკის/ფინანსური ინსტიტუტის მიერ და არა ინდივიდუალურად შეთანხმებული კლიენტთან, ისინი ჩაითვლება სტანდარტულ პირობებად და მათზე გავრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-348-ე მუხლების ნორმები.⁵⁶

მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების შინაარსი იყოს ცხადი. ამასთან დაკავშირებით, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ რუსეთის ცენტრალურ ბანკის მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ამომწურავად არ აწეს-

გარიშზე დაფუძნებულ ციფრულ ვალუტებთან დაკავშირებით, თუმცა ჯერჯერობით ანგარიშის/ელექტრონული საფულის გახსნა ყველგან საკლებულოა); Hofmann C., The Shift from Private Money into “Unlimited” CBDCs: An Unviable Development or a Chance for Reform and New Opportunities?, Central Bank Digital Currencies: Proceedings of a Colloquium, Gortsos C.V., Rolf Sethe R. (eds.), Zürich, 2023, 47.

⁵⁰ №51-ФЗ „Гражданский кодекс Российской Федерации (часть первая)“, ст. 128, п.1 ст. 140, “Собрание законодательства РФ”, № 32, ст. 3301, 30.11.1994.

⁵¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 140.

⁵² Модельный Гражданский кодекс для государств — участников Содружества Независимых Государств (часть первая), ст. 23, <<https://iacis.ru/public/upload/files/1/13.pdf>> [08.06.2025].

⁵³ Захаров А.В., Цифровой рубль в системе объектов гражданского права, „Вопросы российской юстиции“, №29, 2024, 135.

⁵⁴ იქვე; იგივე პოზიცია იხ. Miernicki, M., Cash, accounts, and central bank digital currencies: a legal view on the introduction of account- and token-based digital central bank money, „Law and Financial Markets Review“, Vol. 17, 2023, 9.

⁵⁵ Василевская Л.Ю., Цифровой рубль: взгляд цивилиста на проблему, “Lex russica”, Том 76, №1 (194), 2023, 15.

⁵⁶ მომხმარებლის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, სასურველია ამაზე სპეციალურ მითითებას შეიცავდეს თავად ხელშეკრულება, როგორც ეს ციფრული რუბლის ანგარიშის შემთხვევაშია. იხ. Договор счета цифрового рубля между оператором платформы цифрового рубля и пользователем платформы цифрового рубля, п. 1.4 ст. 1. <https://www.cbr.ru/content/document/file/150457/account_agreement_pers.pdf> [17.05.2024].

რიგებს ფინანსური ინსტიტუტების (პლატფორმის მონაწილეების) უფლება-მოვალეობებს, რამაც შესაძლოა გაართულოს ვალდებული პირის იდენტიფიცირება და მთლიანად უფლების დაცვის პროცესი.⁵⁷ აღნიშნულ ხარვეზს სრულად ვერც ცენტრალური ბანკის კანონქვემდებარე აქტი⁵⁸ აღმოფხვრის. მაგალითად, თუ შესავალ დებულებებში პლატფორმის მონაწილე ცხადდება პლატფორმაზე მომხმარებლის ნვდომის უზრუნველყოფ პირად, სპეციალურ მუხლში ასეთად უკვე ცენტრალური ბანკი (სისტემის ოპერატორი) განისაზღვრება, რასაც ახორციელებს „მონაწილის მეშვეობით“.⁵⁹ ამ მაგალითიდანაც ნათლად ვლინდება ვალდებული პირის განსაზღვრასთან დაკავშირებული სირთულეები. სასურველია, ეს ხარვეზი ქართულ რეალობაშიც არ იყოს დაშვებული.

თუ ხსენებული ტიპის ხელშეკრულებები საქართველოში დადებული იქნება კომერციულ ბანკთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციით, მასზე გავრცელდება ანგარიშსწორების შესახებ ნორმები (859-864-ე მუხლები).

რუსეთის ფედერაციაში დამკვიდრებული მიდგომით, ციფრული რუბლის ანგარიშები დეტალურად რეგულირდება საგადახდო მომსახურების შესახებ კანონმდებლობით.⁶⁰ სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ მიმთითებელ ნორმას შეიცავს და ზღუდავს მისი ნორმების მოქმედებს თუ ხსენებული საკანონმდებლო აქტით სხვა რამაა დადგენილი.

სასურველია, თუ ქართველი კანონმდებელიც კოდექსის გარეთ მოაწესრიგებს ციფრული ლარის ანგარიშის გახსნის წესებს, როგორც ეს მიმდინარე და სხვა ტიპის ანგარიშების შემთხვევაშია.⁶¹

3.2. ციფრული ვალუტების გადაცემის მოდელი

იურიდიულ ლიტერატურაში არაა ერთიანი პოზიცია, თუ როგორ უნდა მოხდეს ციფრული ვალუტებთან დაკავშირებული უფლებების გადაცემა პირებს შორის. ერთი შეხედულებით,⁶² მათზე უნდა გავრცელდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ ნორმები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი). თუმცა, სხვა ავტორი⁶³ განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს: ციფრული ვალუტების გადაცემა უნდა მოწერიგდეს სპეციალური კანონმდებლობით. ევროკავშირში ასეთი საგადახდო მომსახურების შესახებ დირექტივაა (PSD2), საქართველოში კი – „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონი. თუმცა, ავტორი ციფრულ ვალუტას უთანაბრებს სხვა ფულად სახსრებს, რომლებიც შეიძლება, რომ განთავსდეს ანგარიშებზე, რაც არაა გასაზიარებელი. მართალია, კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით ისინი, ელექტრონულ ფულთან ერთად, ერთი ცნების ქვეშ შეიძლება გავაერთიანოთ, მაგრამ საგადახდო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა მათი მკაფიო გამიჯვნა. შესაძლებელია, საჭირო გახდეს ციფრული ვალუტებით განხორციელებული ტრანზაქციების დამოუკიდებ-

⁵⁷ Захаров А.В., „Цифровой рубль в системе объектов гражданского права“, Вопросы российской юстиции, №29, 2024, 137.

⁵⁸ Положение Банка России от 03.08.2023 N 820-П «О платформе цифрового рубля» (вместе с «Порядком урегулирования споров и разногласий»), п. 1.2, Официальный сайт Банка России, 11.08.2023.

⁵⁹ Положение Банка России от 03.08.2023 N 820-П «О платформе цифрового рубля» (вместе с «Порядком урегулирования споров и разногласий»), абзац 1, п. 1.2; абзац 2, п. 4.1, Официальный сайт Банка России, 11.08.2023.

⁶⁰ Федеральный закон от 27.06.2011 N 161-ФЗ (ред. от 24.07.2023) “О национальной платежной системе”, ст. 30.8, “Собрание законодательства РФ”, N 27, 04.07.2011.

⁶¹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №24/04 „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, ვებგვერდი, 07/04/2011.

⁶² გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 398-ე, 413-ე მუხლები. იხ. Hofmann C., The Shift from Private Money into “Unlimited” CBDCs: An Unviable Development or a Chance for Reform and New Opportunities?, Central Bank Digital Currencies: Proceedings of a Colloquium, Gortsos C.V., Rolf Sethe R. (eds.), Zürich, 2023, 47.

⁶³ Kriese L., Central Bank Digital Currency: A Technical, Legal and Economic Analyses, Frankfurt am Main, 2023, 119.

ბელი რეგულირება (როგორც ეს რუსეთის ფედერაციაში⁶⁴), რაც გამორიცხავს მათდამი სამოქალაქო კოდექსის ან თუნდაც „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონის სხვა ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

ტრანზაქციის განხორციელება შეიძლება უკავშირდებოდეს ვალდებულების შესრულებასაც, კერძოდ, ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში. ამ დროს ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება მიმღებთან ციფრული ვალუტის ჩარიცხვისას.

ტრანზაქცია, რომელიც ხორციელდება ელექტრონული ფულადი სახსრების/საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების გაზრდის მიზნით და ციფრული ვალუტების ნაშთის შემცირებას იწვევს, გამოუხმობადი ხდება საგადახდო დავალების შესრულებისათვის აუცილებელი პროცედურების დაწყებასთან ერთად, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში (ნაშთის გაზრდისას) – ელექტრონული ფულადი სახსრების/საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების ნაშთის შემცირებისას.

ციფრული ვალუტის ერთი ანაგარიშიდან მეორე ანგარიშზე გადარიცხვის დავალება გამოუხმობადი ხდება პლატფორმის მონაწილის/ოპერატორის მიერ მისი მიღებისთანავე.⁶⁵

3.2.1. კეთილსინდისიერი შეძენის დაცვა

ტრანზაქციების დროს არავინაა დაცული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან, შესაბამისად, საჭიროა კეთილსინდისიერი შეძენის ინტერესების დაცვა. კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (შემდგომში – უნიდრუა) პრინციპები ციფრული აქტივების და კერძო სამართლის შესახებ,⁶⁶ კერძოდ კი მე-8 პრინციპი, ადგენს ციფრული აქტივის (რომელშიც ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებიც შეიძლება მოიაზრებოდეს⁶⁷) კეთილსინდისიერი შეძენის კრიტერიუმებს.

კეთილსინდისიერი შეძენისთვის აუცილებელია, რომ პირმა მოიპოვოს კონტროლი ციფრულ აქტივზე და აკმაყოფილებდეს კეთილსინდისიერი და უსასყიდლო შეძენისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ წინაპირობებს.⁶⁸

კონტროლის დეფინიცია მოცემულია მე-6 პრინციპში, რომლის მიხედვითაც, პირი აკონტროლებს აქტივს, თუ სისტემა ცნობს მის ექსკლუზიურ უფლებას, მიიღოს სარგებელი აქტივიდან, გამორიცხოს მესამე პირთა მიერ ამ სარგებლის მიღება და გადასცეს სხვა პირს აქტივი ხსენებული უფლებამოსილებებითურთ. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დეფინიცია მსგავსია კანონმდებლობით განსაზღვრული მესაკუთრის უფლებამოსილებათა ტრიადისა (ფლობა, სარგებლობა, განკარგვა).

რაც შეეხება წინაპირობებს; თუ ისინი სახელმწიფოს არ დაუდგენია და გამოსაყენებელ სამართლად გვევლინება უნიდრუას პრინციპები, პრეზუმირებულია, რომ შეძენი კეთილსინდისიერია. პრეზუმფცია მოქმედებს მანამ, სანამ არ დამტკიცდება, რომ შეძენმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა აქტივზე სხვა პირის უფლების და, მის მიერ აქტივის შეძენის შედეგად, ამ უფლების ხელყოფის შესახებ. ცოდნის ვალდებულება განისაზღვრება ბრუნვის ჩვეულებების, ციფრული აქტივის თავისებურებების და იმის გათვალისწინებით, ჰქონდა თუ არა პირს ზოგადი ვალდებულებები.

⁶⁴ Федеральный закон от 27.06.2011 N 161-ФЗ (ред. от 24.07.2023) “О национальной платежной системе”, ст. 7.1, “Собрание законодательства РФ”, N 27, 04.07.2011.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Principles on Digital Assets and Private Law, Rome, 2023, <<https://www.unidroit.org/wp-content/uploads/2024/01/Principles-on-Digital-Assets-and-Private-Law-linked.pdf>> [17.05.2024].

⁶⁷ იქვე, 16.

⁶⁸ მოცემულ დებულებაში იგულისხმება უშუალოდ ციფრული აქტივების კეთილსინდისიერი შეძენისათვის დადგენილი წინაპირობები.

ბა, დამატებით გამოეკვლია აქტივის წარმომავლობა.

შემდეგი ვერ მოიპოვებს უფლებას ციფრულ აქტივზე, თუ მას აღნიშნული უფლება გადაეცა: (1) უსასყიდლოდ (საჩუქრად) და (2) უფლების გადაცემა დაკავშირებული არაა მოთხოვნის უზრუნველყოფასთან.⁶⁹

უნდა აღინიშნოს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი განსხვავებულად იცავს მოძრავი ნივთის და ფულის კეთილსინდისიერ შემძენს. კერძოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი გამონაკლისები (დაკარგვა, მოპარვა, მფლობელობიდან მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გასვლა ან უსასყიდლოდ შეძენა) არ ვრცელდება ფულზე. შესაბამისად, ფულის შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერებისათვის საკმარისია, რომ მას არ ჰქონდეს პოზიტიური ცოდნა გამსხვიებლის არაუფლებამოსილების შესახებ და არც ევალებოდა აღნიშნული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტები თავისუფლად ექცევა ფულის კონცეფციაში, მივიღებთ წინააღმდეგობას დღეს მოქმედ კოდექსის ნორმებსა და უნიდრუას პრინციპებს შორის. მართალია, ამ წინააღმდეგობას არბილებს 8(4) პრინციპი (რომლის მიხედვითაც, პირი იმ შემთხვევაშიც გახდება ციფრული აქტივის მესაკუთრე, თუ განმკარგავი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ და არ ჰქონდა საკუთრების უფლება აქტივზე, რაც ქურდობის და ჰაკერობის შემთხვევებსაც მოიცავს), მაგრამ უსასყიდლო შეძენის, ისევე როგორც კოდექსისეული „დაკარგვის“ შემთხვევა, კვლავაც პრობლემურია.

სასურველია, როგორც დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში,⁷⁰ კანონმდებლობით ამომწურავად მონესრიგდეს ციფრული ვალუტების კეთილსინდისიერი შემძენის კრიტერიუმებიც.

4. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების გამიჯვნა მსგავსი ქონებრივი სიკეთეებისგან

როგორც უკვე აღინიშნა, საგადახდო სისტემების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მკვეთრად გაიმიჯნოს ციფრული ვალუტები სხვა ქონებრივი სიკეთეებისგან. ამ საკითხს ეთმობა ნაშრომის წინამდებარე ნაწილი.

4.1. გამიჯვნა ელექტრონული ფულისგან და ანაბრაზე არსებული ფულადი სახსრებისგან

დღესდღეობით ფული ორი – საჯარო და კერძო ფორმით არსებობს.⁷¹ ასეთი კლასიფიკაცია ეფუძნება განსხვავებას ემიტენტში. თუ პირველ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი გვევლინება

⁶⁹ პრინციპი 2(5)(დ) ტერმინ „ტრანსფერში“ მოიაზრებს არა მხოლოდ საკუთრების უფლების გადასვლას, არამედ იმ უფლებების წარმოშობასაც, რომლებიც დაკავშირებულია ციფრული აქტივის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებასთან (რაც ყოველთვის სასყიდლიანად არის მიჩნეული. აღნიშნული მიდგომა იკვეთება დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით უნიდრუას 18(3) პრინციპშიც. იხ. Chun C., Cross-Border Transactions of Intermediated Securities: A Comparative Analyses in Substantive Law and Private International Law, Berlin, 2012, 80). შესაბამისად, თუ პირმა ციფრული აქტივი მიიღო არაუფლებამოსილი მოვალისაგან, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სხვა წინაპირობების არსებობისას, ის ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად, ხოლო მისი უფლებები ამ აქტივის მიმართ იქნება ნამდვილი.

⁷⁰ საქართველოს კანონი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“, მე-12 მუხლი, ვებგვერდი, 16.11.2023.

⁷¹ Financial Stability Institute (FSI) (2023): “Central bank digital currencies – Executive Summary”, FSI Executive Summaries, 1.

ბანკნოტებისა და მონეტების ემიტენტად⁷² და რეზერვების შექმნაზე უფლებამოსილ ორგანოდ,⁷³ მეორე ჯგუფში აერთიანებენ საბანკო დეპოზიტებს და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ელექტრონულ ფულს.⁷⁴ აღნიშნული ფულადი სისტემები თანაარსებობენ და, მეტიც, ავსებენ ერთმანეთს.⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტები ფულის პირველ კატეგორიას მიეკუთვნება (რამეთუ ემიტენტი ცენტრალური ბანკია), ისინი მთელი რიგი თვისებების გამო ძალიან ჰგვანან როგორც ელექტრონულ, ისე საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ (ე.წ. უნაღდო) ფულს და საჭირო ხდება თითოეულისგან მისი გამიჯვნა.

4.1.1. გამიჯვნა ელექტრონული ფულისგან

ელექტრონული ფულის დეფინიციის მიხედვით,⁷⁶ მისი ხუთი აუცილებელი ნიშანი შეგვიძლია გამოვყოთ: იგი არის მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრების ნომინალური ღირებულება (1), რომელიც შენახულია ელექტრონულად (2), გამოშვებულია ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ (3) გადახდის ოპერაციების განხორციელების მიზნით (4) და გადახდის საშუალებად აღიარებულია მესამე პირების მიერ (5).

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებისგან მთავარი განსხვავება მოცემულ შემთხვევაში ემიტენტშია – ელექტრონული ფულის გამომშვებები არიან საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, ხოლო ცენტრალური ბანკი გვევლინება მათ მარეგულირებელ ინსტიტუტად.⁷⁷ ამასთან, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებიც მხოლოდ არამატერიალური ფორმით არსებობენ, თუმცა, მათი გადახდის საშუალებად გამოყენება დამოკიდებულია არა მესამე პირთა აღიარებაზე, არამედ უზრუნველყოფილია *ex lege*, გადახდის კანონიერ საშუალებად აღიარების გამო.⁷⁸

გარდა ამისა, ევროდირექტივაში⁷⁹ მოცემული დეფინიცია ელექტრონულ ფულს მოთხოვნა-

⁷² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტი, სსმ, 29, 12/10/2009.

⁷³ რეზერვები იქმნება კომერციული ბანკების მიერ ცენტრალურ ბანკში გახსნილ დეპოზიტებზე თანხების განთავსებით და ცენტრალური ბანკის მიერ ბაზრის მონაწილეებთან სხვადასხვა გარიგების დადებით. დაწვრილებით იხ. *Bateman W., Allen J., The Law of Central Bank Reserve Creation, The Modern Law Review*, Vol. 85, Issue 2, 2022, 412. საქართველოში კომერციული ბანკებისთვის დადგენილი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესახებ იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №10/04 „მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“, წესის 1-ელი მუხლის მე-3 პუნქტი, ვებგვერდი, 14/02/2011.

⁷⁴ *Zellweger-Gutknecht C., Geva B., Grünwald S. N., Digital Euro, Monetary Objects, and Price Stability: A Legal Analysis, "Journal of Financial Regulation"*, Vol. 7, Issue 2, 2021, 300. არსებობს სხვაგვარი კლასიფიკაციაც, სადაც ფულის სამი ფორმა გვხვდება: ბანკნოტები და მონეტები, ცენტრალური ბანკის რეზერვები და საბანკო ანგარიშები. იხ. *Bateman W., Allen J., The Law of Central Bank Reserve Creation, "The Modern Law Review"*, Vol. 85, Issue 2, 2022, 401; Bank of England (2020), „Discussion Paper: Central Bank Digital Currency Opportunities, challenges and design“, 9-10; *Андрюшин С. А., Цифровая валюта центрального банка как третья форма денег государства, "Актуальные проблемы экономики и права"*, Т. 15, № 1, 2021, 56.

⁷⁵ *Laband J., Existential Threat or Digital Yawn: Evaluating China's Central Bank Digital Currency, "Harvard International Law Journal"*, Vol. 63, number 2, 2022, 520.

⁷⁶ საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტი, ვებგვერდი, 29, 12/06/2012.

⁷⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №77/04 „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, 1-ელი მუხლის პირველი პუნქტი, ვებგვერდი, 02/05/2023.

⁷⁸ მაგ., ციფრული ევროს შემთხვევაში იხ. Commission, „Proposal for a Regulation of The European Parliament and of The Council on the establishment of the digital euro“ COM(2023) 369 final, art. 7(1).

⁷⁹ Directive (EU) 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 9 September 2009 on the taking up, pursuit and prudential supervision of the business of electronic money institutions amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing

თა კატეგორიას მიაკუთვნებს, რომელიც მიმართულია მისი გამომშვებისკენ. ეს უკანასკნელი ამ მოთხოვნის ძალით ვალდებულია მოახდინოს ელექტრონულ ფულის კონვერტაცია გადახდის კანონიერ საშუალებაში.⁸⁰ ქართული კანონმდებლობაც ელექტრონულ ფულს ელექტრონული ფულის პროვაიდერის ვალდებულებად მოიხსენიებს მომხმარებლის მიმართ⁸¹ და ავალდებულებს ამ უკანასკნელის მოთხოვნისთანავე გადაცვალოს ის ფულად სახსრებზე⁸² (მათ შორის გადახდის კანონიერ საშუალებებზე – ბანკნოტებსა და მონეტებზე). შესაბამისად, ევროდირექტივით და ქართული კანონმდებლობით ამომწურავადაა მოწესრიგებული ელექტრონული ფულის, როგორც კერძო სამართლის ობიექტის, სამართლებრივი ბუნება და იმ ურთიერთობის შინაარსი, რომელიც წარმოიშობა პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის. ამის საპირისპიროდ, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების შემთხვევაში, მოცემული სამართლებრივი პრობლემები ჯერჯერობით მსჯელობის საგანია.

დაბოლოს, ელექტრონული ფული, განსხვავებით ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებისგან,⁸³ ფულადი სახსრების სუროგატია, რაზეც პირდაპირაა მითითება დირექტივის აღწერილობით ნაწილში.⁸⁴

4.1.2. გამიჯვნა საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან

პრობლემური შეიძლება იყოს ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების გამიჯვნა საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან, კერძოდ, დეპოზიტებისა⁸⁵ და მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან. ზუსტი ზღვრის გავლება განსაკუთრებით რთული შეიძლება აღმოჩნდეს იმ ვითრებაში, როდესაც ციფრული ვალუტების ადმინისტრირების პროცესში ჩართულნი იქნებიან კომერციული ბანკები (ე.წ. ორდონიანი მოდელი, რომელსაც დაეფუძნება ციფრული ლარიც).⁸⁶

როგორც ვადაიანი, ისე მოთხოვნამდე დეპოზიტებისგან⁸⁷ ცენტრალური ბანკის ციფრული ვა-

Directive 2000/46/EC, art. 2(2).

⁸⁰ Kriese L., Central Bank Digital Currency: A Technical, Legal and Economic Analyses, Frankfurt am Main, 2023, 6.

⁸¹ საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, მე-18 მუხლის მე-10 პუნქტი, ვებგვერდი, 12/06/2012.

⁸² საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი, ვებგვერდი, 12/06/2012.

⁸³ Василевская Л.Ю., Цифровой рубль: взгляд цивилиста на проблему, “Lex russica”, Том 76, № 1 (194), 2023, 16.

⁸⁴ Directive (EU) 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 9 September 2009 on the taking up, pursuit and prudential supervision of the business of electronic money institutions amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC, recital 13.

⁸⁵ დეპოზიტები და ელექტრონული ფული არაა ურთიერთჩანაცვლებადი ცნებები, ამიტომაც განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე. აღნიშნულის შესახებ პირდაპირაა მითითებული როგორც „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში, ისე 2009/110/EC დირექტივის აღწერილობითი ნაწილის მე-13 პუნქტში. მეტიც, დეპოზიტი ფულის დაგროვებითი ფუნქციის რელიზებას ემსახურება, ელექტრონული ფული კი – გადახდების წარმოების მიზნებს. ამასთან, ელექტრონულ ფულს არ შეიძლება ერიცხებოდეს სარგებელი. მისი გამომშვები ვერ გამოიყენებს მას კრედიტის გასაცემად და უნდა ინახავდეს საკუთარი სახსრებისგან განცალკევებით (იმავე კანონის მე-18 მუხლის 1-ელი, მე-8 და მე-9 პუნქტები). ასევე, იხ. Ярлычева Ю.Е., Отличия электронных денежных средств от безналичных денежных средств, „Форум молодых учёных“, №6(46), 2020, 845.

⁸⁶ National Bank of Georgia (2023): Project DGEL. Public Note, 11.

⁸⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №24/04 „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ო.ა“ და „ო.ბ“ ქვეპუნქტები, ვებგვერდი, 12/04/2011.

ლუტები განსხვავდება იმით, რომ ამ უკანასკნელს არ შეიძლება ერიცხებოდეს სარგებელი,⁸⁸ რაც ანაბრების აუცილებელი ნიშანია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო უახლოვდება ერთმანეთს მიმდინარე და „ციფრულ ვალუტაში გახსნილი“ ანგარიშის ცნებები. ორივე მათგანზე კლიენტის ქონებრივი სიკეთეები აღირიცხება, რომლებსაც შემდგომ განკარგავს კლიენტი, მათ შორის ტრანზაქციების განხორციელების გზით.⁸⁹

ამ შემთხვევაში განსხვავება თავად იმ ქონებრივ სიკეთეებშია, რომლებიც აღირიცხება ანგარიშებზე. ციფრული ვალუტაში გახსნილი ანგარიშის შემთხვევაში ეს ქონებრივი სიკეთე სპეციალურია და მოიცავს მხოლოდ ციფრულ ვალუტას და არა ფულად სახსრებს საერთოდ.⁹⁰ გარდა ამისა, იმისდა მიხედვით, თუ ადმინისტრირების რომელი მოდელი მოქმედებს, ციფრული ვალუტის ანგარიში შეიძლება იხსნებოდეს არა კომერციულ, არამედ ცენტრალურ ბანკში. ეს უკანასკნელი ასევე უზრუნველყოფს კლიენტების წვდომას ანგარიშებზე კომერციული ბანკების მეშვეობით⁹¹ და ახორციელებს საგადახდო დავალებებს.⁹²

ლიტერატურაში⁹³ ასევე აღნიშნულია, რომ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს არ აქვთ გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი, განსხვავებით ბანკნოტებისგან, მონეტებისგან⁹⁴ და დღესდღეობით უკვე, ციფრული ვალუტებისგანაც. თუმცა, საპირისპირო შეხედულებით, გადახდის კანონიერ საშუალებად მიიჩნევა თავად ფულის ერთეული (მაგ., ლარი), ხოლო ფორმას, რომელშიც ისაა გამოხატული არ უნდა ენიჭებოდეს მნიშვნელობა.⁹⁵ შესაბამისად, ზემოაღნიშნული მიდგომა ვერ გამოდგება გამიჯვნის ცალსახა კრიტერიუმად.

⁸⁸ Commission, “Proposal for a Regulation of The European Parliament and of The Council on the establishment of the digital euro” COM(2023) 369 final, art. 16(8). ასევე იხ. Федеральный закон от 27.06.2011 N 161-ФЗ (ред. от 24.07.2023) “О национальной платежной системе”, п. 4 ст. 30.8, “Собрание законодательства РФ”, N 27, 04.07.2011. სსნებული ნორმა ასევე კრძალავს ციფრული რუბლის ანგარიშებზე ოვერდრაფტის ხელშეკრულების გამოყენებას.

⁸⁹ მიმდინარე ანგარიშის ცნება იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №24/04 „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქციის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი, ვებგვერდი, 12/04/2011; ციფრული ევროს ანგარიშის ლეგალური დეფინიცია იხ. Commission, “Proposal for a Regulation of The European Parliament and of The Council on the establishment of the digital euro” COM(2023) 369 final, art. 2(5). ციფრული რუბლის ანგარიშის ცნება იხ. Федеральный закон от 27.06.2011 N 161-ФЗ (ред. от 24.07.2023) “О национальной платежной системе”, п. 1, п. 2 ст. 30.8, “Собрание законодательства РФ”, N 27, 04.07.2011.

⁹⁰ ფულადი სახსრების დეფინიცია იხ. საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, მე-2 მუხლის „ჰ“ პუნქტი, ვებგვერდი, 12/06/2012.

⁹¹ Договор счета цифрового рубля между оператором платформы цифрового рубля и пользователем платформы цифрового рубля, п. 3.2 ст. 3. <https://www.cbr.ru/content/document/file/150457/account_agreement_pers.pdf> [10.05.2024].

⁹² Федеральный закон от 27.06.2011 N 161-ФЗ (ред. от 24.07.2023) “О национальной платежной системе”, п. 9, ст. 7.1, “Собрание законодательства РФ”, N 27, 04.07.2011.

⁹³ Kriesse L., Central Bank Digital Currency: A Technical, Legal and Economic Analyses, Frankfurt am Main, 2023, 5.

⁹⁴ Коржова И. В., Понятие и свойства электронных денег по гражданскому праву России, Москва, 2017, 7. იგივე მიდგომა იკვეთება ევროკავშირის კანონმდებლობაშიც, იხ. Consolidated Version of the Treaty on the Functioning of the European Union, art. 128(1), OJ C 326, 26.10.2012, 103.

⁹⁵ Турбанов А. В., Цифровой рубль как законное платёжное средство, „Актуальные проблемы российского права“, Т. 19, №1(158), 2024, 61-62.

4.2. გაიმიჯვნა კრიპტოვალუტებისგან

უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტას კრიპტოვალუტებისგან განსხვავებს სამართლებრივი – გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი. კრიპტოვალუტებს, რომლებიც ჩვენს საკანონმდებლო სივრცეში ვირტუალური აქტივის ცნებაში⁹⁶ მოიაზრება, არ აქვთ გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსი.⁹⁷

გარდა ამისა, პირველის შემთხვევაში, ცენტრალური ბანკი გვევლინება ემიტენტად და მარეგულირებელ ორგანოდ, ხოლო კრიპტოვალუტების შემთხვევაში, როგორც წესი, ასეთი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ინსტიტუცია არ არსებობს, რამეთუ კრიპტოვალუტების სისტემა დეცენტრალიზებულია და მონაწილეთა კონსენსუსს ემყარება,⁹⁸ მათ შორის ტრანზაქციების განხორციელებისასაც.⁹⁹

ამასთან, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა გამოხატულია იმავე ერთეულში, რომელიც ფიატური ფული¹⁰⁰ (მაგ., ციფრული ლარი გამოხატული იქნება ლარში), კრიპტოვალუტას კი თავისი ერთეული აქვს, რომლის მიმართება სხვა ფულად ერთეულებთან (ე.წ. კურსი) მეტად მერყევიანია.¹⁰¹

დაბოლოს, თუ ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტები, მათი ზემოაღნიშნული თვისებების გამო, ცალსახად შეიძლება მივაკუთვნოთ ფულის კატეგორიას, კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით პოზიციები იყოფა. ითვლება, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ ფულის სამ ძირითად ფუნქციას:¹⁰²

1. ვერ ჩაითვლებიან ფართოდ აღიარებულ გაცვლის საშუალებებად, იმის გამო, რომ ისინი ფართოდ არ გამოიყენება სამოქალაქო ბრუნვაში ანგარიშსწორებისას (მეტიც, არაა გადახდის კანონიერი საშუალება);

2. არ არიან დაგროვების (დაზოგვის) საშუალებები, რამეთუ მერყევი ბუნების გამო მსყიდველუნარიანობა რადიკალურად ცვალებადია;

3. არ არიან ღირებულების საზომები, რადგან, როგორც წესი, არც ფასებია გამოხატული მათით.

საპირისპირო შეხედულებით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ფულის ეკონომიკური და სამართლებრივი კონცეფციები.¹⁰³ ვინაიდან არ არსებობს ფულის ერთიანი დეფინიცია, კონკრეტული ნორმის განმარტებისას და მისი მიზნებიდან გამომდინარე, კრიპტოვალუტები შეიძლება ჩაითვალოს ფულად სახსრებად, კაპიტალად, გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია მისი შეძე-

⁹⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მე-2 მუხლის „31“ ქვეპუნქტი, სსმ, 29, 12/10/2009.

⁹⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, 39¹-ე მუხლის პირველი პუნქტი, სსმ, 29, 12/10/2009.

⁹⁸ Maheshwary D., Kadel L. B., A Comparative Analysis of CBDC and Cryptocurrencies, „International Journal of Scientific Engineering and Research“, Vol. 11, Issue 6, 2023, 28.

⁹⁹ ინგ. Proof of work.

¹⁰⁰ ინგ. Fiat money – ფული, რომელიც არაა უზრუნველყოფილი (მაგ. ძვირფასი ლითონებით), განსხვავებით ოქროს სტანდარტზე ანუ ობილი ფულადი სისტემისგან.

¹⁰¹ იხ. ავსტრალიის სარეზერვო ბანკი, <<https://www.rba.gov.au/education/resources/explainers/cryptocurrencies.html>> [01.05.2024].

¹⁰² იქვე. ასევე იხ. Ammous, S., Can cryptocurrencies fulfil the functions of money?, „The Quarterly Review of Economics and Finance“, Vol. 70, 2018, 50; ბიტკოინთან დაკავშირებით ფლორიდის შტატის (აშშ) სასამართლოს ანალოგიური მსჯელობის მიმოხილვა: Mann R. J., Payment Systems and Other Financial Transactions: Cases, Materials, and Problems, Burlington, MA, 2023, 116.

¹⁰³ Miernicki, M., Cash, accounts, and central bank digital currencies: a legal view on the introduction of account- and token-based digital central bank money, „Law and Financial Markets Review“, Vol. 17, 2023, 11.

ნა ჩვეულებრივი ვალუტით, არის ღირებულების გამოხატულება და გამოიყენება ტრანზაქციების განსახორციელებლად.¹⁰⁴ აღნიშნული საკითხი თითოეულ პრობლემურ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა მოწესრიგდეს.

დასკვნა

ნაშრომში მიმოხილულია ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების (საქართველოში – ციფრული ლარის) დანერგვასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. აღინიშნა, რომ ციფრული ლარი, როგორც კერძო სამართლის ობიექტი, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა, კერძოდ, მოთხოვნათა კატეგორიას განეკუთვნება. მასზე უფლების გადასვლის წესი შეიძლება მოწესრიგდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსს გარეთ, სპეციალური კანონით.

ციფრული ლარი იმიჯდება ისეთი ქონებრივი სიკეთეებისგან, როგორიცაა ელექტრონული ფული, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები და კრიპტოვალუტები.

ციფრული ლარის დანერგვასთან დაკავშირებით, უცხოური გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით, სასურველია:

1. შემუშავდეს ციფრული ლარის დეფინიცია;
2. შევიდეს ცვლილებები როგორც საკანონმდებლო (მათ შორის, სამოქალაქო კოდექსში), ისე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რათა მკაფიოდ განისაზღვროს ციფრული ლარის, როგორც კერძო სამართლის ობიექტის სამართლებრივი ბუნება და მისი კეთილსინდისიერი შეძენის კრიტერიუმები;
3. ამომწურავად განისაზღვროს როგორც ეროვნული ბანკის, ისე ფინანსური ინსტიტუტების უფლებამოსილებები ციფრული ლარის ადმინისტრირების პროცესში.

¹⁰⁴ United States v. Murgio, (2016), 209 F. Supp. 3d 698, 707.